

**სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულება შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის საქმიანობისა და სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას.
3. სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ფორმალური დამოწმება.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. **კოლეჯი** - სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“.
2. **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია** (შემდგომში - დადასტურების კომისია) - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით შექმნილი კომისია.
3. **ინტეგრირებული ზოგადი მოდულები** - „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;
4. **პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო** (შემდგომში - პორტფოლიო) - პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;
5. **კომპლექსური დავალება** - შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით;
6. **თემა** - ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

7. ვერიფიკაცია – დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან.

### **მუხლი 3. დადასტურების კომისიის შექმნა**

1. დადასტურების კომისია შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან მინიმუმ 1 (ერთი) წევრი მოწვეულია.
2. დადასტურების კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. დადასტურების კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
4. დადასტურების კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
5. დადასტურების კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ სწავლის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

### **მუხლი 4. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. დადასტურების კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
4. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

### **მუხლი 5. პროფესიული სტუდენტისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურება**

1. პროფესიული სტუდენტისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დამლევა.
2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, დადასტურების კომისია ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;
  - ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.

3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### **მუხლი 6. დადასტურების კომისიის შედეგების გასაჩივრება**

1. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს დადასტურების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
2. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.
3. სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან მინიმუმ 1 (ერთი) წევრი მოწვეულია.
4. სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების თარიღიდან არაუმეტეს მეორე დღის სამუშაო საათების დასრულებამდე.
6. სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
7. საპრეტენზიო განცხადებაში უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ.
8. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს დადასტურების კომისიის წევრი.
9. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
10. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.
11. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები.
12. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც ეგზავნება დადასტურების კომისიას.